ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

KA980184865132617

№16/3811

24 / იანვარი / 2017 წ.

LLC MEGA B. სერგო გალუსტიანი

მისამართი აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ, #25
მიმდებარედ

ბატონო სერგო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #451825/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჭ-451825/07

"20" 01 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, პატარა დიღომიში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კილომეტრზე, №25-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.72.14.013.121) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2714797 15.07.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, პატარა დიღომიში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კილომეტრზე, №25-ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

I სართულის გეგმა: "2-4" და "გ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. "4-5" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის ფორმა. "დ-გ" მონაკვეთში მდებარე ანტრესოლის ფილის ნიშნული შეცვლილია და მონაცვლებული აქვს ადგილი +0.00 ნიშნულის მიმართულებით.

II სართულის გეგმა: "3" ღერძთან სართულშუა გადახურვის ფილაზე მოწყობილია ღიობი.

გადახურვის გეგმა: დამატებულია საკომუნიკაციო შახტები. კიბის უჯრედის კედლის ფორმები შეცვლილია, მასზე დამატებულია გამათბობლის აგრეგატები და საკომუნიკაციო მილები, შეცვლილია ასევე ღებვის ფერი, დამატებით მოწყობილია კოლონები, შემცირებულია სიგრძე, ასევე მასზე მოწყობილი კარის გაბარიტი გაზრდილია და შეცვლილია ნახატი. კიბის უჯრედის გადახურვის ფილაზე დამატებულია ლითონის მილკვადრატი. გაზრდილია ლიფტის შახტის სიმაღლე. მასზე დამატებით მოწყობილია კარი, ლითონის კიბე მოაჯირით და საჰაერო. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. პარაპეტი მოწყობილია ფასადის კედლების სიბრტყის გასწვრივ.

"1-7" ფასადი: +0.00 ნიშნულზე "1" ღერძთან შეცვლილია კარის მასალა და ფერი. "2" ღერძთან და "4-5" მონაკვეთში მდებარე კარების მასალა და ნახატი შეცვლილია, ხოლო მათ თავზე შეცვლილია კედლის ფორმები. "4" ღერძის მარცხნივ მდებარე კარის ნახატი შეცვლილია. "5-6" მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტები და ადგილმდებარეობა. დამატებულია ერთი საჰაერო. შეცვლილია კარის ნახატი. მავე მონაკვეთში შეცვლილია ბაქანის ნიშნული. ფასადზე აღნიშნული კიბე არ შეესაბამება საპროექტოს. ასევე გაუქმებულია შ.შ.მ. პირთათვის განკუთვნილი ლიფტი ბაქანით. აივნებზე "1" და "4" ღერძებზე შემცირებულია კედლის სისქე. აღნიშნულ აივნებში "2-4" მონაკვეთში მილკვადრატის ჩანართის სიგრძე გაზრდილია.

"7-1" ფასადი: ფასადზე დამატებულია საკომუნიკაციო მილები. +8.40 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირის მასალა და გაზრდილია მისი სიმაღლე. "4-5" მონაკვეთში აივანზე კედლის სიმაღლე შემცირებულია ხოლო სიგრძე გაზრდილია. "2-1"

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მონაკვეთში ღიობებზე გაუქმებულია ლითონის ჟალუზები. "6-3" მონაკვეთში შემცირებულია ღიობების სიმაღლეები.
"დ-ა" ფასადი: "დ" ღერძთან დამატებულია საკომუნიკაციო მილი. "ა" ღერძის გარეთ მდებარე ვიტრაჟის სიმაღლე გაზრდილია. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ნახატები. მეორე სართულზე გაზრდილია "გ" ღერძთან მდებარე ფანჯრის სიგანე, ხოლო აღნიშნული ღერძის მარცხნივ მესამე სართულზე გაუქმებულია ფანჯარა. ნაწილობრივ გაზრდილია კოლონების კვეთი. წყალშემკრები მილების ადგილმდებარეობა და რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს და დასასრულებელია. შეცვლილია რელიეფის დონე, შეცვლილია ბაქნების გაბარიტები. **"1" ღერძთან მდებარე ბაქანი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.**

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "მეგა ბ"-ს, ქ. თბილისში, პატარა დიღომიში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კილომეტრზე, №25-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.72.14.013.121) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №451825/07 28.12.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**